შპს POLIMARR

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე როგორც საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, ასევე უშუალოდ საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან შეადგენს 40 მეტრს. ასევე აღნიშნულია, რომ საწარმოს შენობისა და საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრები ერთი და იგივეა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უშუალოდ საწარმოს ტერიტორია და საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი (ს/კ: 01.12.05.001.006) უახლოეს მოსახლემდე სხვადასხვა მანძილითაა დაშორებული. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- ზუსტი მანძილი საწარმოო ტერიტორიის განაპირა საზღვრიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 40 მეტრს (იხილეთ სქემა #1), ხოლო შენობის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილი შეადგენს 30 მეტრს. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საწარმოოსთვის განკუთვნილი ტერიტორია არ მოიცავს მთლიანად შენობას (ს/კ: 01.12.05.001.006), ვინაიდან შენობის სხვა ნაწილებში-საპროექტო საწარმო ტერიტორიას და უახლოეს დასახლებულ პუნქტს შორის შენობაში განთავსებულია სასაწყობო მეურნეობები, რომელი ტერიტორიითაც კომპანია არ სარგებლობს. აღნიშნული საწარმოს ტერიტორია სასაწყობო მეურნეობებისგან იზოლირებულია კაპიტალური მზიდი კედლებით.

სქემა #1





- ვინაიდან საწარმოს ტერიტორია მდებარეობს დასახლებული პუნქტისა და საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს, სამინისტროს 2020 წლის 26 ნოემბრისN11116/01 წერილით თანახმად საჭირო იყო საწარმოს გავლენის ზონაში, საწარმოს განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვართან უშუალო სიახლოვეს არსებულ მოსახლეობასთან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით კომუნიკაციის (ასევე მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის სამინისტროში წარმოდგენა. წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე მოსახლეობის მხრიდან რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია არ დაფიქსირებულა, შენიშვნები მოსახლეობის მხრიდან არ დაფიქსირებულა არც სკოპინგისა და გზშ-ის ეტაპებზე, მათ შორის საჯარო განხილვაზე, არ იქნა მიჩნეული უახლოეს მოსახლეებთან კომუნიკაციისა ან/და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების შესაბამისად, სკოპინგის ეტაპზე არ ჩატარებულა საჯარო განხილვა, ხოლო გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდა დისტანციურად, ZOOM-ის აპლიკაციის მეშვეობით, რომელსაც არ ესწრებოდა დაინტერესებული საზოგადოება, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა, ამასთან საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან (საკადასტრო საზღვრიდან შპს ,,POLIMARR"-ის მიმდებარედ) უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 30 მეტრს, მნიშვნელოვანია

ზემოაღნიშნულ მოსახლე(ებ)სთან კომუნიკაციის ან/და შეთანხმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის სამინისტროში წარმოდგენა.

- იხილეთ შპს „POLIMARR“-ის კუთვნილ საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობის და ექსპლუატაციის შესახებ უახლოეს მოსახლესთან კომუნიკაციის და შეთანხმების შესახებ ოქმი დანართის სახით.

შპს „POLIMARR"-ის კუთვნილ საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობის და ექსპლუატაციის შესახებ უახლოეს მოსახლესთან კომუნიკაციის და შეთანხმების შესახებ ოქმი

ქ. თბილისი 25იანვარი 2021 წ

2021 წლის 25 იანვარსქ. თბილისში, თემქის მე-3 მ/რ; მე-5 კვ.-ში ყოფილი პურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კN 01.12.05.001.006) მის: ისაკიანის ქუჩა N1-ში, შპს „POLIMARR"-ის (ს/ნ N 404932944) საწარმოო შენობაში გაიმართა კომპანიისდირექტორის დავით მარის (პ/ნ N 01009004654) და მოქ: ირინე მერაბიშვილის (პ/ნN03001010417) მცხოვრები ქ. თბილისი, მონადირეს ქუჩა II შესახვევი, N 2 (ს/კN 72.13.42.087) კომპანიის არსებულ პოლიეთილენის დამამზადებელ საწარმოში დაგეგმილი ახალი ტექნოლოგიური ხაზის ნარჩენების აღდგენის საწარმოო ხაზისმოწყობასა და ექსპლუატაციისპროექტიის ირგვლივ ინფორმირების და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 8 იანვრისN151/01 წერილის მოთხოვნის საფუძველზე უახლოეს მოსახლესთან კომუნიკაციის და შეთანხმების შესახებ.

მოწმე: მოქ: ნ. [illegible] (პ/ნN01021003146) მეგობ. თბილისი. თემქა III მ/რ. სკვ. [illegible] N 36

მოწმე : მოქ: [illegible] (პ/ნN01001050203) [illegible] 2ვ-104 ნომერი 88.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დამსწრე საზოგადოების თანდასწრებით ვთანხმდებით რომ: კომპანია რამდენიმე წელია ფუნქციონირებს აღნიშნულ მისამართზე და არსებული ტექნოლოგიური ხაზის ფუნქციონირების პერიოდში რაიმე სახის პრეტენზია რომელიც ეხება აკუსტიკური ხმაურით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ან ხუნის, ან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში არ დაფიქსირებულა. ასევე მოქ: ირინე მერაბიშვილისთვის ცნობილია, რომ პროექტის შესაბამისად დაგეგმილია ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა, რომლის ძირითადი ელემენტი განთავსდება საწარმოს კაპიტალურ შენობაში და დაშორება საცხოვრებელი სახლიდან შეადგენს: გრანულატორი-67 მეტრი.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას ეცნობა წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით იდენტიფიცირებულ რეცეპტორებზე ზემოქმედების სახეები, როგორც მოწყობის

ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. ასევე.გზშ-ის ანგარიშით განხილული შემარბილებელი ღონისძიებები.

დამსწრე საზოგადოების მხრიდან, წარდგენილ პროექტის მიმართ რაიმე პრეტენზია ან შენიშვნა არ დაფიქსირებულა და მოქ: ირინე მერაბიშვილი თანახმაა რომ კომპანიამ განახორციელოს დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა და ექსპლუატაცია და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ გააჩნია.

ოქმი შევადგინე შპს „POLIMARR"-ისდირექტორმა დავით მარიმდა ოქმის ავთენტურობას ვადასტურებ ხელისმოწერით.

შპს „POLIMARR"-ის დირექტორი : /დ. მარი/

მოქ: ირინე მერაბიშვილი:

მოწმე:.....

მოწმე:.....